

ფაქტობრივი გარემოებები

შეფასება

ღონისძიებები

დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებულმა პირმა, 2011 წლის იანვარში გააფორმა კონტრაქტი 150000 ლარის სამშენებლო სამუშაოზე. კონტრაქტის შესასრულებლად გათვალისწინებული ერთობლივი ხარჯები შეადგენს 120000 ლარს.

კონტრაქტი არ ითვალისწინებს სამუშაოს ეტაპების მიხედვით ჩაბარებას. სამუშაო შემკვეთს ჩაბარდა 2012 წლის აგვისტოში. კონტრაქტის ფარგლებში 2011 წელს გაწეული იქნა ხარჯი 90000 ლარის ოდენობით, მთლიანი ხარჯის 75%.

პირი დღგ-ის გადამხდელად დარეგისტრირდა მხოლოდ 2012 წლის აგვისტოში და აგვისტოს საანგარიშო პერიოდის მიხედვით დღგ-ის დასაბეგრი ბრუნვა დაადეკლარირა 150000 ლარის ოდენობით. პირმა ჩათვალა, რომ მას ასეთი ვალდებულება მანამდე არ გააჩნდა (დღგ-ით დასაბეგრი სხვა ოპერაციები არ განუხორციელებია).

სსკ-ის 157-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს (გარდა ამ მუხლის 11 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100 000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

სსკ-ის 161-ე მუხლის თანახმად გრძელვადიანი კონტრაქტის შემთხვევაში, თუ არ დადგა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობა: ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა კალენდარული წლისათვის განისაზღვრება ფაქტობრივი შესრულების მოცულობის მიხედვით, რომელიც გაიანგარიშება გაწეული ხარჯების კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან შეპირისპირებით. ამ მუხლის მიზნებისათვის ხარჯების გაწევის მომენტი განისაზღვრება ამ კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შეზღუდვის გაუთვალისწინებლად; ბ) დასაბეგრი ოპერაციის მომენტად ითვლება არაუგვიანეს ყოველი წლის დეკემბერი. ამასთანავე, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება და ამ კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეზღუდვის ვადა აითვლება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობის დადგომის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან.

პირი ვალდებული იყო არაუგვიანეს 2011 წლის დეკემბრისა დარეგისტრირებულიყო დღგ-ის გადამხდელად, ვინაიდან კონტრაქტით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100000 ლარს. ასევე, - 2011 წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა დაედეკლარირებინა 112 500 ლარის ოდენობით (150000X75%)
- 2012 წლის აგვისტოს საანგარიშო პერიოდის მიხედვით არსებულ ნაშთს დაადეკლარირებს 37500 ლარის ოდენობით (150000X25%) .
იმის გათვალისწინებით რომ სსკ-ის 161-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა ამოქმედდა სსკ-ში 2013 წლის 26 დეკემბრის N1886-რს ცვლილების გამოქვეყნების შემდეგ, გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას უნდა გამოეწეროს როგორც 2011 წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდზე, ასევე კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების, 2012 წლის აგვისტოს, საანგარიშო პერიოდზე.

2011 წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდში დასაბეგრი ოპერაციაზე ჩასათვლელ დღგ-ზე, მოქმედებს სსკ-ის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი შეზღუდვა.

პირს დაერიცხება 2011 წლის დეკემბრის თვის კუთვნილი დღგ-ის თანხა 20 250 ლარის ოდენობით (112500X18%).

პირი დაჯარიმდება 2011 წლის დეკემბრიდან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისათვის (სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილი) 5 625 ლარის ოდენობით (112500X5%).

პირი 2011 წლის დეკემბრის თვის დღგ-ის დეკლარაციის წარუდგენლობისათვის არ დაჯარიმდება.